ბრონქული ასთმის ქრონიკული, პროგრესირებადი ხასიათი, ჰიპოქსემიისა და ჰიპოქსიის განმეორებითი ეპიზოდები ბრონქული ასთმის შეტევის პერიოდში, აუარესებს მიოკარდის ფუნქციურ მდგომარეობას, რასაც თან ახლავს ფილტვისმიერი ჰიპერტენზიის განვითარება (1,12,51) აღნიშნული განაპირობებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ჯერ კიდევ ტრანზიტორული ხასიათის ცვლილებების ადრეული დიაგნოსტიკის აუცილებლობას ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში.

ჩვენს მიერ ჩატარდა ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში კარდიორესპირატორული ცვლილებების ინტეგრალური შეფასება.

კვლევაში ჩართო – ყველა გამოკვლეული პაციენტი – 6-16 წლამდე ასაკის ბრონქული ასთით დაავადებული 94 ბავშვი (გოგონა-43% და ვაჟი-57%). დაავადების დიაგნოსტიკა წარმოებდა ბრონქული ასთმის გლობალური ინიციატივის კრიტერიუმების (GINA, 2002), *in vivo* ალერგოლოგიური (გამოიყენებოდა ALK sherax-ის ფირმის პრიკ-ტესტები) და გარეგანი სუნთქვის ფუნქციის (BODISTAR EG-90 აპარატის გამოყენებით) კვლევის შედეგების შეჯერების საფუძველზე. გამოკვლეული კონტინგენტის 25,5% (24 პაციენტი) შემთხვევაში კონსტატირებულ იქნა ასთმის მსუბუქი მიმდინარეობა, პაციენტთა 53,2%-ს აღენიშნა ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმის მიმდინარეობა 24 ბავშვი, ასთმის ხანდაზმულობა არ აღემატებოდა 6 წელს (პიველი ჯგუფი) და 30 პაციენტი, ასთმის ხანდაზმულობა აღემატებოდა 6 წელს (მეორე ჯგუფი). შემთხვევათა 21,3%-ში (12 ბავშვი, დაავადების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 6 წელს (მესამე ჯგუფი) და 8 ბავშვი, ასთმის ხანდაზმულობა აღემატებოდა 6 წელს (მეოთხე ჯგუფი)) დიაგნოსტირებულ იქნა მძიმე მიმდინარეობის ბრონქული ასთმა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევის ინსტრუმენტული მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა დოპლერეოკარდიოგრაფიული კვლევა (ALOKA-650 და MEDISON 8000 აპარატების გამოყენებით). ისაზღვრებოდა ფილტვის არტერიაში წნევის საშუალო გრადიენტი იმპულსური დოპლერეოკარდიოგრაფიული მეთოდით. მარჯვენა პარკუჭის გასავალ ტრაქტში (ინფუდიბულური) ხდებოდა სისტოლური ნაკადის სიჩქარის განსაზღვრა განდევნის დასაწყისში და მის პიკში. ასევე ისაზღვრებოდა მარჯვენა პარკუჭიდან სისხლის ნაკადის განდევნის ხანგრძლივობა, რის შემდეგაც დგინდებოდა შესაბამისი წნევის გრადიენტი ფილტვის არტერიაში.

კვლევაში გამოყენებული სტატისტიკური მეთოდების გარდა, ჯგუფთა შორისი შედარებითი ანალიზი წარმოებდა არაპარამეტრული კრუსკალ-უოლისის კრიტერიუმის გამოყენებით, გამოკვლეულ მაჩვენებელთა შორის სტატისტიკური კავშირის ხარისხის დასადგენად გამოყენებულ იქნა სპირმენის რანგული კორელაციის კოეფიციენტი და მისი მგრძობელობა.

მიღებული შედეგების მიხედვით ბრონქული ასთმის შეტევის პერიოდში საშუალო და მძიმე მიმდინარეობის დროს გარეგანი სუნთქვის ფუნქციის უმეტესი მაჩვენებლები სარწმუნოდ დაქვეითებული იყო (ცხრილი 4.3.1.1). მათ შორის ჰაერის მოძრაობის პიკური და საშუალო მოცულობითი სიჩქარეები ფორსირებული ამოსუნთქვის მრუდის სხვადასხვა უბანზე (FEF 25,50,75, PEF) და აგრეთვე ფილტვის მაქსიმალური ვენტილაცია. აღნიშნა 1 წმ ფორსირებული ამოსუნთქვის მოცულობის (FEV1), ფილტვის ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობის (FVC) მაჩვენებლების სხვაობის ტენდენცია გამოკვლეულ ჯგუფებში და ასეთის არ არსებობა ფილტვის მაქსიმალური სასიცოცხლო ტევადობის (VC) მაჩვენებლის მხრივ. მიუხედავად ამისა, ტიფნოს ინდექსის მონაცემების სხვაობა გამოკვლეულ ჯგუფებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ($p=0,02$).

ჰემოდინამიკური ძვრების ხასიათი ბრონქული ასთმის საშუალო და მძიმე მიმდინარეობის დროს დამოკიდებული იყო დაავადების ხანდაზმულობაზე. პაციენტებს, რომელთაც დოპლერექოკარდიოგრაფიულად ფილტვის არტერიაში აღნიშნათ წნევის ნორმალური გრადიენტი (9-13მმ.ვწყ.სვ.) , გამოუვლინდათ სპიროგრაფიული მაჩვენებლების (VC, FEV1, IT) ზომიერი დაქვეითება. აღნიშნული მონაცემები დაფიქსირდა ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმისა და მძიმე მიმდინარეობის იმ ჯგუფებში, სადაც დაავადების ხანდაზმულობა არ აღემატებოდა 6 წელს. პაციენტთა იმ ჯგუფში სადაც ბრონქული ასთმის ხანდაზმულობა 6 წელზე მეტია, დაფიქსირდა სპიროგრაფიული მონაცემების (VC, FEV1, IT) დაქვეითება და დოპლერექოკარდიოგრაფიულად ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის მატება (21-35მმ.ვწყ.სვ.).

გამოვლინდა სარწმუნო უარყოფითი კორელაციული კავშირი ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტსა და გარეგანი სუნთქვის უმეტეს მაჩვენებლებს შორის. საყურადღებოა ზომიერი კავშირის არსებობა I T –თვის ($r=0,45$ $p=0,01$). კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტსა, VC და FEF75 შორის. აღნიშნული კავშირების მგრძობელობა აღმოჩნდა დაბალი ($a=0,05$): 1,1%-დან FEV1-თვის, 21%მდე FEF25-თვის. (ცხრილი 4.3.1.2).

ცხრილი 4.3.1

გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლები ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში

პარამეტრები	მსუბუქი ბრონქული ასთმა	საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმა	მძიმე ბრონქული ასთმა
VC	81,2±2,4	75,4±2,3	74,6±1,9
FVC	69,5±2,8	62,6±3,0	60,1±2,1
FEV1	73,2±3,4	64,7±2,8	59,3±2,4
PEF	87,2±3,5	91,3±3,4	82,3±3,3
FEF25	79,8±3,5	76,2±3,8	74,5±3,0
FEF50	72,3±4,2	79,4±3,8	71,2±3,2
FEF75	79,3±5,3	74,4±3,2	66,3±3,4

ცხრილი 4.3.2

ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტსა და გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლებს შორის სპირმენის რანგული (rs) კორელაციის ანალიზის შედეგები

მაჩვენებელი	სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი (rs)	სარწმუნოების დონე (p)	კორელაციის კოეფიციენტის მგრძობელობა (%)
VC	- 0,34	0,06	9,6
FVC	- 0,42	0,02	3,1
FEV1	- 0,39	0,03	1,1
IT	- 0,45	0,01	9,1
PEF	- 0,38	0,04	14,8
FEF25	- 0,41	0,02	21,0
FEF50	- 0,418	0,02	20,0
FEF75	- 0,33	0,07	17,9

ამრიგად, მიღებული მონაცემების მიხედვით ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის გაზრდას თან ახლავს გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლების, ტიფნოს ინდექსისა და ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის არაწრფივი დაქვეითება.

ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის მატება კარდიოლოგიური თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო პროგნოზული ფაქტორია.

თავი 5. მიღებული შედეგების განხილვა და ანალიზი

ბრონქული ასთმა ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, განსაკუთრებით ბავშვთა პოპულაციაში და ვარირებს 5-10%-ის ფარგლებში. არცთუ იშვიათად ბრონქული ასთმა დიაგნოსტირდება დაავადების მოგვიანებით სტადიებზე, რის შედეგადაც გვიანდება ადექვატური თერაპია და უარესდება დაავადების გამოსავალი. დაგვიანებული და არაადექვატური მკურნალობა, შეტევის შემდგომ პერიოდში კლინიკურ-ინსტრუმენტული მონიტორინგის უგულვებელყოფა და რასაკვირველია ადრეული დიაგნოსტიკის პრობლემები განაპირობებენ დაავადების ნაადრევ გართულებებს, პირველ რიგში კარდიო-ვასკულარული სისტემის მხრივ(4,6,12).

ბრონქული ასთმის ქრონიკული, პროგრესირებადი ხასიათი, ჰიპოქსემიისა და ჰიპოქსიის განმეორებითი ეპიზოდები ბრონქული ასთმის შეტევის პერიოდში, აუარესებს მიოკარდის ფუნქციურ მდგომარეობას, რასაც თან ახლავს ფილტვისმიერი ჰიპერტენზიის განვითარება და გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ჯერ კიდევ, ტრანზიტორული ხასიათის ცვლილებები (5,7).

კარდიო-ვასკულარული სისტემის ალერგიული დაზიანება თანამედროვე კარდიოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ნაკლებად შესწავლილ პრობლემას წარმოადგენს. ბავშვთა და მოზარდთა ასაკში გულის ალერგიული დაზიანების ზრდა, პათოგენეზური მექანიზმებისა და სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების არასაკმარისი გაშუქება ლიტერატურაში, დღის წესრიგში აყენებს აღნიშნული პრობლემის შესწავლის აქტუალობას.

დადგენილია, რომ ბრონქული განვლადობის დარღვევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კარდიორესპირატორული სისტემის ყველა რგოლზე და ვეგეტატიური ჰომეოსტაზის მაჩვენებლებზე, იწვევს რა ბავშვის ორგანიზმის სარეზერვო შესაძლებლობების დაქვეითებას. აქედან გამომდინარე, აქტუალურია კარდიო-ვასკულარული, რესპირატორული და ვეგეტატიური ნერვული სისტემის

ინტეგრალური შეფასება ბრონქული ასთმის კლინიკური მიმდინარეობისა და დაავადების ხანდაზმულობის გათვალისწინებით.

აღნიშნულმა განაპირობა შრომის მიზანი - ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში კარდიო-ვასკულარული სისტემის მდგომარეობის შეფასება და დაზიანების პროგნოზული რისკის სტრატეგიკაციის კრიტერიუმების შემუშავება.

დასახული მიზნის განსახორციელებლად, შესწავლილი იქნა რესპირატორული სისტემის მდგომარეობა, ცენტრალური და ფილტვისმიერი ჰემოდინამიკა, ვეგეტატიური ჰომეოსტაზი, კარდიო-ვასკულარული სისტემის ფუნქციურ-ინსტრუმენტული მაჩვენებლები დინამიკაში.

ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა კლინიკური პოპულაციის შერჩევა განხორციელდა ამბულატორიულ-სტაციონარული მომართვიანობის საფუძველზე. საკვლევ პიპულაციაში, შემთხვევითი შერჩევის გარეშე გაერთიანდა პაციენტები, რომელთაც ანამნეზური, კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მაჩვენებლების საფუძველზე დაუდგინდათ ბრონქული ასთმის დიაგნოზი. დაავადების დიაგნოსტიკა წარმოებდა ბრონქული ასთმის გლობალური ინიციატივის კრიტერიუმების (GINA, 2002) მიხედვით.

გამოკვლევული იქნა ბრონქული ასთმით დაავადებული 6-დან 16-წლამდე ასაკის 94 პაციენტი (გოგონა-43% და ვაჟი-57%). გამოკვლევული კონტინგენტის 25,5% (24 პაციენტი) შემთხვევაში კონსტატირებულ იქნა ასთმის მსუბუქი მიმდინარეობა, 53,2%-ში (50 ბავშვი) დიაგნოსტირებული იქნა საშუალო სიმძიმის პერსისტული ბრონქული ასთმა, ხოლო 21,3%-ში (20 ბავშვი) კი _ ასთმის მძიმე მიმდინარეობა. დაავადების ხანდაზმულობა 6 წელს არ აღემატებოდა ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმით მიმდინარეობის 44% და მძიმე ასთმის 30%-ში შემთხვევაში და შეადგენდა 6 წელზე მეტს საშუალო სიმძიმით მიმდინარე ასთმის 56% და მძიმე ასთმის 70% შემთხვევაში. საკონტროლო ჯგუფი წარმოდგენილი იყო იმავე ასაკის 35 პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვით.

კლინიკურ-ალერგოლოგიური კვლევის შედეგად შეფასდა ბრონქული ასთმის ეტიოლოგიური სტრუქტურა, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი, დებიუტისა და რეციდივის მიზეზები. გათვალისწინებულ იქნა პრემორბიდული ფონი და თანმხლები დაავადებების არსებობა.

ანამნეზური მონაცემების მიხედვით ორსულობის პერიოდში მოქმედი მავნე ფაქტორებიდან ყურადღებას იპყრობდა მწვავე რესპირაციებით ხშირი ავადობა დედებში (47,8%) და ტროფოალერგენების ჭარბი გამოყენება (36,2%). ალერგო-ანამნეზით პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში დაფიქსირდა დატვირთული მემკვიდრეობა, ძირითადად, დედის მხრიდან. მემკვიდრეობაში პრევალირებდა ბრონქული ასთმის, ალერგიული რინიტის და ალერგოდერმატოზების არსებობა, რაც რეზონანსშია ლიტერატურულ მონაცემებთან(21,64).

გამოკვლევულთა 32%-ს ადრეულ ასაკში აღენიშნებოდა ატოპური დერმატიტის გამოვლინება, რომლის მანიფესტაცია განპირობებული იყო ძირითადად საკვებით (65,4%), იშვიათად მედიკამენტით (5,7%) ან ორივე ფაქტორის ერთდროული ზემოქმედებით (19,9%). სიცოცხლის შემდგომ პერიოდში კვებითი ალერგენებისადმი აწეული მგრძობელობა გამოუვლინდა დაავადებულ ბავშვთა 15,6%-ს, ხოლო მედიკამენტური სენსიბილიზაცია _ 6,8%-ს.

ცნობილია, რომ ალერგიული ექსპოზიციის ხელშემწყობ ფაქტორს რესპირატორული ტრაქტის პათოლოგიით ხშირი ავადობა წარმოადგენს. ჩვენი მასალის ანალიზით, ავადმყოფთა 52,3%-ს აღენიშნებოდა ხშირი რესპირატორული ინფექციების არსებობა.

თანარსებული ალერგიული რეაქციებისა და დაავადებებიდან, შემთხვევათა 23,9%-ში დაფიქსირდა ალერგიული რინიტი, 31,1% შემთხვევაში კი ატოპური დერმატიტი. თანარსებული მედიკამენტური და კვებითი ალერგია თანაბარი სიხშირით იყო წარმოდგენილი (16,6%).

დაავადების დებიუტისა და რეციდივის ხშირ მიზეზს წარმოადგენდა ფიზიკური დატვირთვა (25,1%), კლიმატო-გეოგრაფიული(38,2%) და მეტეოროლოგიური (24,7%) ფაქტორები, მკვეთრი სუნის ზემოქმედება(25,6%). პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში დაფიქსირდა სამი და ზოგჯერ მეტი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედება. ბრონქული ასთმის გამწვავების მაღალი სიხშირე გამოიკვეთა გაზაფხულზე (48,8%) და შემოდგომაზე (43%).

ბრონქული ასთმის ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლამ პრიკ-ტესტირების საფუძველზე გამოავლინა პოლივალენტური სენსიბილიზაციის მაღალი სიხშირე ($p<0,05$) ზომიერად დადებითი რეაქციით საყოფაცხოვრებო და კვებითი ალერგენების (82,6%) მიმართ. ზომიერად და სუსტად დადებითი მგრძობელობა

გამოვლინდა ეპიდერმალური (33,2%) და მცენარეული ალერგენებისადმი (48%). მიზეზ-შედეგობრივი (ეტიოლოგიური) ფაქტორის განაწილება ერთგვაროვანი იყო დაავადების ნებისმიერი მიმდინარეობის შემთხვევაში. ბრონქული გამავლობის მდგომარეობა შეფასებულ იქნა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლების საფუძველზე. დისპერსიული ანალიზის საფუძველზე საშუალო სიმძიმის პერსისტული მიმდინარეობის დროს აღინიშნა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლების დაქვეითება ინდივიდუალური ნორმიდან 30%-ით, მძიმე პერსისტული ბრონქული ასთმის დროს კი 40%-ზე მეტად იყო დაქვეითებული. ყველა შემთხვევაში ზომიერად დაქვეითებული იყო ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა და ფორსირებული ამოსუნთქვა პირველ წამში. ფილტვების დაცარიელების ეფექტური დრო ხშირად სცილდებოდა 150-200%-ს. საინჰალაციო β_2 -აგონისტების (სალბუტამოლი, ვენტოლინი) გამოყენების ფონზე, ყველა შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მდგომარეობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებას. დიაგნოსტიკურად მნიშვნელოვანი იყო ჰაერის ნაკადის სიჩქარის სწრაფი და ეფექტური მატება (გაუმჯობესება 15% და მეტი). ამრიგად, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის დარღვევის ხარისხი კორელირებდა დაავადების მიმდინარეობის სიმძიმესთან(2,41,124).

ამრიგად, ბრონქული ასთმის კლინიკურ-ალერგოლოგიური მახასიათებლების შესწავლით გამოვლინდა, რომ დაავადების პრემორბიდული ფონი უპირატესად წარმოდგენილი იყო კანის ადრეული ალერგიული ცვლილებებით, კვებითი და მედიკამენტური სენსიბილიზაციით და ალერგიული ექსპოზიციის ხელშემწყობი ხშირი რესპირაციებით. დაავადების დებიუტისა და გამწვავების უხშირეს მიზეზად კლიმატო-გეოგრაფიული, სეზონური, მეტეოროლოგიური ფაქტორები და კარშიდა ალერგენები გვევლინებოდა. დაავადება ხასიათდებოდა პოლივალენტური სენსიბილიზაციით და გარეგანი სუნთქვის ფუნქციური მდგომარეობის მაჩვენებელთა დაქვეითებით, რომელიც კორელირებდა დაავადების მიმდინარეობის სიმძიმესთან.

კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა გულ-სისხლძაღვთა სისტემის ცვლილებები. ცვლილებების ხასიათს განაპირობებდა ერთის მხრივ ბრონქული ასთმის მიმდინარეობის სიმძიმე და მეორეს მხრივ დაავადების განწვავებისა და

რემისიის პერიოდები. კარდიო- ვასკულარული ცვლილებები მნიშვნელოვანი იყო ($p < 0,05$), როდესაც დაავადების ხანდაზმულობა აღემატებოდა 6 წელს და ასეთ შემთხვევებში ცვლილებათა ირიბი ნიშნები ინახებოდა რემისიის პერიოდშიც.

ჰემოდინამიკური ძვრების ხასიათი ბრონქული ასთმის საშუალო და მძიმე მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული დაავადების ხანდაზმულობაზე. პაციენტებს, რომელთაც დოპლერეექოკარდიოგრაფიულად ფილტვის არტერიაში აღენიშნათ წნევის ნორმალური გრადიენტი (9-13მმ.ვწყ.სვ.), გამოუვლინდათ სპიროგრაფიული მაჩვენებლების (VC, FEV1, IT) ზომიერი დაქვეითება. აღნიშნული მონაცემები დაფიქსირდა იმ ჯგუფებში, სადაც დაავადების ხანდაზმულობა არ აღემატებოდა 6 წელს. ბრონქული ასთმის 6 წელზე მეტი ხანდაზმულობის მქონე ჯგუფებში, აღინიშნებოდა სპიროგრაფიული მონაცემების მნიშვნელოვანი დაქვეითება და ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის სარწმუნო მატება (21-35მმ.ვწყ.სვ.).

მიღებული მონაცემების მიხედვით, გამოვლინდა სარწმუნო უარყოფითი კორელაციული კავშირი ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტსა და გარეგანი სუნთქვის უმეტეს მაჩვენებლებს შორის – ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის გაზრდას თან ახლდა გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლების, ტიფნოს ინდექსისა და ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის არაწრფივი დაქვეითება, რაც კარდიოლოგიური თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო პროგნოზული ფაქტორია(12,109).

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ვეგეტატური ნერვული სისტემის ფუნქციური მაჩვენებლები, სიმპატიკური და პარასიმპატიკური რეგულაცია გულის რიტმის ვარიაბელობის შეფასების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ასაკში ვეგეტატური დარღვევების კლინიკური ფენომენოლოგია ძირითადად წარმოდგენილია პერმანენტული ან პაროქსიზმული ძვრებით, განვითარებული ადრენერგული და ქოლინერგული დისბალანსის ფონზე. ჩვენს შემთხვევებში, ვეგეტატური დისფუნქციის კლინიკური ნიშნებიდან, ძირითადად წარმოდგენილი პაროქსიზმული დარღვევების ნიშნები: წითელი დერმოგრაფიზმი (38%), თავის ტკივილები (27%), «მარმარილოსებური» კანი (16%) და დახურული სივრცის შიში (12%). ერთეულ შემთხვევებში დაფიქსირდა

კარდიალგია, ემოციური, ძილის დარღვევა და ტაქიკარდია. ჯანმრთელ ბავშვთა კონტინგენტში აღინიშნებოდა ვეგეტატიური დისრეგულაციის ერთეული ფენომენები.

ცნობილია, რომ კარდიოინტერვალოგრაფიის(კიგ) მეთოდი თანამედროვე მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ორგანიზმის ადაპტაციურ-კომპენსატორული რეაქციების შესასწავლად ნორმასა და პათოლოგიაში. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს სინუსური კვანძის რითმული და ადექვატური მუშაობის შეფასებაში. სინუსური კვანძი, რომელიც წარმოადგენს ფიზიოლოგიური პროცესების რეგულაციის ძირითად ფუნქციონალურ აპარატს – უნივერსალურად რეაგირებს სხვადასხვა გარეგან და შინაგან ფაქტორებზე. მრავალრიცხოვანი კავშირები ვეგეტატიურ ცენტრებთან, ჰიპოთალამუსთან, ნათხემთან სინუსის კვანძს აძლევს საშუალებას, როგორც ფიზიოლოგიური გამაღიზიანებლების, ასევე სტრესული ფაქტორების ზემოქმედებით, რეაგირების სწრაფი დიაპაზონით უმოკლეს ხანში შეცვალოს რითმი – გულის შეკუმშვათა სიხშირე, R-R ინტერვალის შეფარდებითი სხვაობა, თანმიმდევრობითი რიგის აღნაგობა და სხვა(9,108).

ჩვენს მასალაზე კიგ კვლევა ჩატარდა ბრონქული ასთმით დაავადებულ 54 ბავშვს (ვაჟი – 51% და გოგონა – 49%) და საკონტროლო ჯგუფის - იმავე ასაკის 35 პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვს.

კიგ მონაცემების მიხედვით ვარიაციის კოეფიციენტი სარწმუნოდ მაღალი იყო ბრონქული ასთმით დაავადებულთა შორის სიმშვიდის პერიოდში და სარწმუნოდ დაბალი – ფიზიკური დატვირთვის დროს.

დაავადებულთა კონტინგენტში, გამოვლინდა პარასიმპატიკური ტონუსის მატება მშვიდ მდგომარეობაში და მისი შემცირება ორთოსტაზის რეგულაციაში. სიმპატიკური რგოლის დაბალი საწყისი მაჩვენებელი ორთოსტაზის დროს ხასიათდებოდა მოდის ამპლიტუდის 1,5-ჯერ მატებით, მაშინ როდესაც ჯანმრთელებში AMo იმატებდა 1,2-ჯერ. სიმპატიკური ნაწილის მნიშვნელოვანი გააქტიურება ფეხზე დგომის დროს, მიუთითებდა ვეგეტატიური ფუნქციური რეზერვების გაზრდილ ხარჯვაზე.

სპექტრალური ანალიზის მიხედვით, გარდამავალი პროცესის პირველი ფაზა, რომელიც დაკავშირებულია გულის რითმის, როგორც ვაგუსურ, ისე სიმპატიკურ კონტროლთან, სარწმუნოდ მაღალი იყო ბრონქული ასთმით დაავადებულ

კონტინგენტში. ორთოკლინოსტატიური ცდის გამოყენების შემდეგ გამოვლინდა გარდამავალი პროცესის მეორე ფაზის მაღალი მაჩვენებელი, რაც დატვირთვის საპასუხოდ გულსისხლძარღვთა სისტემის კომპენსატორულ-ადაპტაციური მექანიზმების დაქვეითებაზე მიუთითებდა(11,41).

ზოგადად ვეგეტატიური უზრუნველყოფის პარასიმპატიკური ნაწილის დაბალი და სიმპატიკური ნაწილის ჭარბი მოქმედება ადასტურებდა რეგულაციის მკვეთრი დისბალანსის არსებობას. ამასთან ერთად ბრონქული ასთმით დაავადებული ბავშვებში, მშვიდ მდგომარეობაში, ვეგეტატიური დისფუნქცია გამოვლინდა ვაგოტონური რეგულაციის უპირატესობით, ხოლო დატვირთვის დროს ვეგეტატიური გავლენის სიმპატიკური ნაწილის დომინირებით. ადრენერგული და ქოლინერგული დისბალანსი, დაავადების ადრეულ ეტაპზე, განიხილება, როგორც არაკეთილსაომედო ინდიკატორი შემდგომში ვნს დისფუნქციის გაღრმავებისა და სომატოგენური პათოლოგიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით(33,51).

საწყისი ვეგეტატიური ტონუსის ასაკის მიხედვით შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ჯანმრთელ პოპულაციაში პრევალირებდა რეგულაციის ეიტონური ტიპი; ხოლო ასთმით დაავადებულთა იგივე ასაკობრივ ჯგუფებში ვაგოტონური ტიპი ($p<0,005$).

სპექტრის დაბალსიხშირიანი კომპონენტი 1,7-ჯერ მაღალი იყო ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში, ვიდრე ჯანმრთელებში ($p<0,05$). გარდამავალი პროცესის ჰემოდინამიკის პირველი ფაზა, ბრონქული ასთმით დაავადებულ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში გამოხატული იყო დატვირთვისადმი არაადექვატურად. მისი მაღალი მნიშვნელობა მიუთითებდა გულის კუნთის ქრონოტროპული რეზერვისა და ადაპტაციის უნარის დაქვეითებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელებისაგან განსხვავებით ბრონქული ასთმით დაავადებულ უმცროსი ასაკის ბავშვებს მშვიდ მდგომარეობაში ახასიათებთ ვეგეტატიური აქტივობის გამოხატული პარასიმპატიკური მიმართულება და გულის დაბალი ფუნქციური რეზერვები ფუნქციონირების ახალ დონეზე გადასვლის დროს.

ძირითადი ჯგუფის უმცროსი ასაკის ეიტონური რეგულაციის მქონე ბავშვები გამოირჩეოდნენ ჯანმრთელებისაგან შედარებით დაბალი მაჩვენებლებით,

სიმშვიდისა და დატვირთვის მდგომარეობაში პარასიმპატიკური რეგულაციის დაბალი აქტივობით.

ვეგეტატური რეგულაციის სიმპატიკოტონური ტიპის მქონე უმცროსი ასაკის დაავადებულ ბავშვებში, სიმპატიკური რგოლის გავლენა მშვიდ მდგომარეობაში უფრო მეტად იყო გამოხატული; ხოლო დატვირთვის დროს ჭარბობდა პარასიმპათიკური გავლენა, რაც მიუთითებდა რეგულაციის ადაპტაციური შესაძლებლობის დაქვეითებაზე.

გულის რითმის ვეგეტატური რეგულაციის ანალოგიური სტრუქტურა, მაგრამ შედარებით უფრო მკვეთრად გამოხატული, გამოვლინდა ბრონქული ასთმით დაავადებულ მოზარდებშიც

ძირითად ჯგუფში, ვაგოტონური ტიპის მქონე მოზარდები, ჯანმრთელებისაგან განსხვავებით, სიმშვიდის მდგომარეობაში გამოირჩოდნენ პარასიმპატიკური აქტივობის მეტი გავლენით. სარწმუნოდ მაღალი იყო დაბალი სიხშირის ტალღების მაჩვენებელი. გარდამავალი პროცესის ანალიზით გამოვლინდა სისხლძარღვოვანი კომპონენტის მომატება, რაც ასახავს სისხლძარღვოვანი რგოლის დაბალ ფუნქციურ რეზერვებს ორთოსტაზისადმი ადაპტაციის დროს. მოქმედების ვეგეტატური უზრუნველყოფა ხასიათდებოდა სიმპატიკური გავლენის სიჭარბით და დაბალი პარასიმპატიკური აქტივობით, რაც მოწმობს მოქმედების ვეგეტატური უზრუნველყოფის სიჭარბეს და ფუნქციური რეზერვების მაღალ ხარჯვას.

ამგვარად, რეგულაციის ვაგოტონური ტიპის მქონე ასთმიან მოზარდებს აქვთ საწყისი ვაგოტონიის ხარისხობრივად „განსხვავებული« დონე, რასაც მოწმობს სიმშვიდის დროს პარასიმპათიკური აქტივობის მომატება, დატვირთვის უზრუნველყოფის დაბალი ადაპტაციური რეზერვები და დასტურდება ვნს სისტემის სიმპათიკური ნაწილის ჩართვითა და სისხლძარღვოვანი კომპონენტის დაბალი ფუნქციური რეზერვებით.

ეიტონური ტიპის მქონე მოზარდებს, აღენიშნებოდათ გულის რითმის ნაკლებად გამოხატული ვაგუსური გავლენა და ჰუმორალური აქტივობის ცვლილება. ამრიგად, ორივე ასაკობრივი ჯგუფის ეიტონური ტიპის დაავადებულ ბავშვებს ჰქონდათ დაბალი პარასიმპათიკური აქტივობა და გულის რითმის

რეგულაციის ჰუმორალური არხის ცვლილებები, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნერვული რგოლის რეგულაციის არასტაბილურობასთან.

სიმპატიკოტონიის მქონე მოზარდებში მშვიდ და ფეხზე დამდგარ მდგომარეობაში (ფუნქციონირების სხვა დონე), პარასიმპატიკური აქტივობის მახასიათებელი პარამეტრი შედარებით მცირე იყო ვიდრე ჯანმრთელ მოზარდებში, რაც ასახავს ვაგუსური გავლენის გამოხატულ დაქვეითებას სიმპატიკური ნაწილის აქტივობის მომატების ფონზე. გარდამავალი პროცესის მაღალი მეორე ფაზა ავადმყოფ მოზარდებში მიუთითებდა სისხლძარღვოვანი რგოლის ფუნქციური რეზერვების დაქვეითებაზე ორთოსტაზში გადასვლისას. დატვირთვის ვეგეტატურ რეგულაციას უზრუნველყოფდა ვნს სიმპატიკური ნაწილის გააქტიურება და რეგულაციის მექანიზმების დამაზავა.

მთლიანობაში მოქმედების ვეგეტატური უზრუნველყოფა მოზარდ პაციენტებში ხასიათდებოდა სიმპატიკური აქტივობის სიჭარბით და ვაგუსის აქტივობის უკმარისობით, რაც მოწმობდა ვეგეტატური რეგულაციის დამაზავას ადაპტაციის მექანიზმების რისკით.

ამრიგად, ბრონქული ასთმით დაავადებული ბავშვები ჯანმრთელებისგან განსხვავდებოდნენ, მშვიდ მდგომარეობაში ცდომილი ნერვის დომინირებით, ხოლო დატვირთვის დროს ვნს სიმპატიკური ნაწილის ჰიპერაქტიულობით, სისხლძარღვოვანი კომპონენტის დაბალი ადაპტაციური შესაძლებლობის ფონზე.

საწყისი ვეგეტატური ტონუსის მიხედვით ქვეჯგუფებად დაყოფამ და ჯანმრთელ კონტიგენტთან შედარებამ საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა გულის რითმის ვეგეტატური რეგულაციის სტრუქტურული არაერთგვაროვნება ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში.

კლინიკურ-ანამნეზური მონაცემების ანალიზით, ვეგეტატური რეგულაციის სხვადასხვა ტიპის მქონე ბავშვებში გამოვლინდა გარკვეული თავისებურებები. ვაგოტონიის მქონე ავადმყოფებს უფრო ხშირად აღენიშნებოდათ ანამნეზში ბრონქული ასთმით მემკვიდრული დატვირთვა(66,7%) და კისრის მიდამოს ნატალური ჰიპოქსიურ-ტრავმული დაზიანება(56%), მაღალი ხვედრითი წილით (64,8%) დაფიქსირდა ატოპური დერმატიტის ადრეული გამოვლინებაც. სიმპატიკოტონიის მქონე პაციენტთა 80% საკეისრო კვეთით იყო დაზარდებული.

ამავე ჯგუფში შეტევის პროვოკაცია ხშირად უკავშირდებოდა ფსიქომოციურ დატვირთვას და მეტეოლაბილობას.

ლიტერატურული მონაცემების თანახმად, ვეგეტატური რეგულაციის დონე, რეაქტიულობისა და ადაპტაციური უნარის დაქვეითება, ქერქისა და ქერქქვეშა სტრუქტურების ურთიერთქმედების დარღვევის ფონზე მიმდინარეობს: მათ შორის თალამუსის, ჰიპოთალამუსის (ვეგეტატურ-სისხლძარღვოვანი რეგულაცია) და რეტიკულური ფორმაციის (ენერგეტიკული პოტენციალი). სქემატურად პათოფიზიოლოგიური ძვრების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი სახით: აგზნებისა და შეკავების პროცესების დისბალანსი, ბილატერალური ინტეგრაციის მოშლა, ორგანიზმის ადაპტაციურ-კომპენსატორული შესაძლებლობების დაქვეითება და მყარი ჰემოდინამიკური დარღვევების ჩამოყალიბება (167).

ბრონქული ასთმის მიმდინარეობის თავისებურებები, პროგრესირების ხარისხი და პროგნოზი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კარდიოვასკულარული სისტემის ადაპტაციურ შესაძლებლობებზე (21,64). ბრონქული ასთმის შეტევის დროს განვითარებული ჰიპოქსემიისა და ჰიპოქსიის ეპიზოდები აუარესებს მიოკარდის ფუნქციურ მდგომარეობას და ხელს უწყობს ფილტვისმიერი ჰიპერტენზიის განვითარებას (109). პათოლოგიური პროცესის განვითარება დამოკიდებულია არა მარტო ბრონქული სისტემის ობსტრუქციის ხარისხზე, არამედ გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სასუნთქი კუნთების მეორად დარღვევებზე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ორგანიზმის ჟანგბადით უზრუნველყოფის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრონქული ასთმის დროს კარდიოვასკულარული სისტემის ცვლილებების ადრეულ გამოვლენას.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევის ინსტრუმენტული მეთოდებიდან გამოყენებული იქნა ელექტროკარდიოგრაფია და დოპლერექოკარდიოგრაფია. კვლევა ტარდებოდა დინამიკაში: შეტევის დროს, მკურნალობის დაწყებიდან მათე დღეს და რემისიის პერიოდში.

ჩვენს მასალაზე, ბრონქული ასთმის რემისიის პერიოდში, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევების მხრივ, ღეროვულ შემთხვევებში წარმოდგენილი იყო სიფერმკრთალე, ტაქიკარდია, სისტოლური შუილი, ფილტვის

არტერიაზე მე-2 ტონის აქცენტი; შეტევის პერიოდში აღნიშნულ სიმპტომებთან ერთად ვლინდებოდა კარდიალგია, გულის ტონების მოყრუება, აკროციანოზი, არითმია, განსაკუთრებით ბრონქული ასთმის მძიმე ფორმის მქონე პაციენტებში.

ცნობილია, რომ კარდიო-ვასკულარული სისტემის ფუნქციური დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს ეკვ წარმოადგენს. გულის მხრივ არსებული ცვლილებების ადრეული გამოვლენის მიზნით, ეკვ ჩაუტარდა პრაქტიკულად ყველა ავადმყოფს. უმრავლეს შემთხვევაში გამოვლინდა რითმის დარღვევა(72%) სინუსური არითმიის სახით და გულის შეკუმშვათა სიხშირის მომატება(60%). ვოლტაჟის დაქვეითება უფრო ხშირად აღენიშნებოდა ბრონქული ასთმის საშუალო და მძიმე ფორმის მქონე პაციენტებს, რაც აიხსნება ქრონიკული ჰიპოქსიით განპირობებული დისტროფიული და მეტაბოლური დარღვევებით გულის კუნთში (55,153). იგივე პაციენტებში ყურადღებას იპყრობდა R კბილის მომატება 7მმ-ზე მეტად V2 განხრაში და სისტოლის ხანგრძლიობის მომატება, რაც მიოკარდის ჰიპოქსიაზე მიუთითებს. ეკვ-ს S ტიპი აღენიშნებოდა მძიმე ფორმის ბრონქული ასთმის მქონე პაციენტთა პრაქტიკულად ნახევარს (45%) და ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმის მქონე ავადმყოფთა ნაწილს(26,5%).

E ეკვ მხრივ ყველაზე ხშირი ცვლილებები იყო T კბილის დეფორმაციები: მისი ამპლიტუდის მომატება ან დაკლება, მწვერვალის ფორმის შეცვლა, ST ინტერვალის გადაადგილება იზოხაზიდან 65%-ით მაღლა ან 35%-ით დაბლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრონქული ასთმის დაავადებულ პაციენტთა უმრავლესობას, განსაკუთრებით მძიმე ფორმების დროს, კარდიალური სისტემის მხრივ გამოუვლინდა ძირითადად ფუნქციური ცვლილებები. ყველაზე ხშირი ეკვ ნიშნები იყო – ტაქიკარდია, ელექტრული ღერძის მარჯვნივ გადახრა, ვოლტაჟის დაქვეითება, RV2 მომატება 7მმ-ზე მეტად და ეკვ-ს S ტიპი, რაც გულის კუნთში მეტაბოლური და დისტროფიული დარღვევების სასარგებლოდ მეტყველებდა (108).

დოპლერეოკარდიოგრაფიული კვლევა ჩაუტარდა 74 ბავშვს (ვაჟი – 52% და გოგონა – 48%). გამოკვლეული კონტინგენტის შემთხვევათა 73%-ში კონსტატირებულ იქნა ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმის პერსისტიული მიმდინარეობა, პაციენტთა 27%-ში დიაგნოსტირებულ იქნა მძიმე პერსისტიული ბრონქული ასთმა.

ბრონქული ასთმის გამწვავების პერიოდში დაავადების ხანგრძლიობის გათვალისწინებით განსაზღვრული იქნა შემდეგი პარამეტრები: EF - განდევნის ფრაქცია(%), LVDD - მარცხენა პარკუჭის დიასტოლური დიამეტრი(მმ), LVSD - მარცხენა პარკუჭის სისტოლური დიამეტრი(მმ), RVDD - მარჯვენა პარკუჭის დიასტოლური დიამეტრი(მმ), DTRW - მარჯვენა პარკუჭის წინა კედლის სისქე(მმ), Vpa - ფილტვის არტერიაში სისხლის ნაკადის სიჩქარე(მ/წმ), SpPa - სისტოლური წნევა ფილტვის არტერიაში (მმ.ვც.სვ), CI - გულის ინდექსი.

მსუბუქი ბრონქული ასთმის გამწვავების პერიოდში ბავშვთა უმრავლესობას (69%) გამოუვლინდა სისხლმიმოქცევის ჰიპერკინეტული ვარიანტი გულის შეკუმშვადობის ფუნქციის მაღალი მაჩვენებლებით და ნორმალური წნევით მცირე წრეში. მიღებული მაჩვენებლები პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა იგივე ასაკის საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებისაგან.

ჰემოდინამიკური დარღვევები საშუალო და მძიმე ბრონქული ასთმის გამწვავების პერიოდში დამოკიდებული იყო დაავადების ხანგრძლიობაზე. ბრონქებში განვითარებული ანთებითი ცვლილებები ობსტრუქციის, ფილტვების ვენტილაციური ფუნქციების დარღვევებისა და ალვეოლური ჰიპოქსიის გამო განაპირობებდა გულის მარჯვენა ნაწილების გაძლიერებულ დატვირთვას, მათ დილატაციას და საბოლოო ჯამში ფილტვის არტერიაში წნევის მომატებას. ფილტვის ჰიპერტენზიის დოპლერექოკარდიოგრაფიული ნიშნები (SPpa 30 მმ.ვც.სვ. მეტი) და მარჯვენა პარკუჭის წინა კედლის სისქის მომატება გამწვავების პერიოდში დაუფიქსირდა მძიმე ასთმის მქონე პაციენტთა უმრავლესობას, სადაც დაავადების ხანგრძლიობა აღემატებოდა 6 წელს.

ლიტერატურული მონაცემები ბრონქული ასთმის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესახებ, ძირითადად ეხება მიოკარდის სისტოლურ ფუნქციებს და შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი დიასტოლური ფუნქციები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დიასტოლური მარკერები უფრო ზუსტად და სარწმუნოდ ასახავენ მიოკარდის ფუნქციურ მდგომარეობას და ხშირად დიასტოლური დისფუნქცია წინ უსწრებს სისტოლურ უკმარისობას, დიასტოლური ფუნქციების შესწავლა საშუალებას იძლევა დროულად გამოვავლინოთ გულსისხლძარღვთა სისტემის უკმარისობის ნიშნები ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის პროცესში შეფასებული იქნა მიოკარდის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციები.

სისტოლური ფუნქციის შესწავლის მიზნით განსაზღვრული იქნა შემდეგი პარამეტრები: LVD - მარცხენა პარკუჭის დიამეტრის დიასტოლური ზომა (მმ), LVS - მარცხენა პარკუჭის დიამეტრის სისტოლური ზომა (მმ), EDV - მარცხენა პარკუჭის ბოლო დიასტოლური მოცულობა (მლ), ESV - მარცხენა პარკუჭის ბოლო სისტოლური მოცულობა (მლ), SV-დარტყმითი მოცულობა (მლ), DTPW - მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის დიასტოლური სისქე (მმ), DTS - პარკუჭთშუა ძგიდის დიასტოლური სისქე (მმ), ხოლო დიასტოლური ფუნქციის შესწავლის მიზნით - LA - მარცხენა წინაგულის ზომა (მმ), E - ტრანსმიტრალური დინების მაქსიმალური სიჩქარე მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ავსების ფაზაში, A - ტრანსმიტრალური დინების მაქსიმალური სიჩქარე წინაგულების სისტოლის ფაზაში, E/A - მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ავსებისა და წინაგულების სისტოლის ფაზებში ტრანსმიტრალური დინების მაქსიმალური სიჩქარეების თანაფარდობა. კვლევა ჩატარდა ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმისა და მძიმე ფორმით დაავადებულ პაციენტებს, სადაც დაავადების ხანგრძლიობა 6 წელს აღემატებოდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიოკარდის მარცხენა პარკუჭის შეკუმშვითი ფუნქციის ცვლილებები და სისტოლური ფუნქციების მაჩვენებლები ძირითადად მერყეობდა ასაკობრივი ნორმის ფარგლებში, მაგრამ გულის კუნთის დაძაბული მუშაობის ჰიპერდინამიური რეჟიმი ბრონქული ასთმის შეტევის დროს იწვევდა მიოკარდის ჰიპერფუნქციას, რაც ნათლად აისახა მარცხენა პარკუჭის დიასტოლურ ფუნქციებზე.

დაავადების 6 წელზე მეტი ხანგრძლიობის მქონე პაციენტებში გამოვლინდა პარკუჭების დიასტოლური დისფუნქციის საწყისი ცვლილებები: მარცხენა წინაგულის სისტოლური პარამეტრის მატება, ტრანსმიტრალური დინების სიჩქარის საგრძნობი მატება წინაგულების სისტოლის ფაზაში და შესაბამისად E/A პარამეტრის შემცირება, რომელიც ასახავს ატრიოვენტრიკულურ სარქველებში დინების სიჩქარეების თანაფარდობას ადრეული დიასტოლისა და წინაგულების სისტოლის ფაზაში.

ტრანსმიტრალური და ტრანსტრიკუსპიდალური დინების გადანაწილება წინაგულთა სისტოლის სასარგებლოდ, სიჩქარის მატებით ამ ფაზაში და დიასტოლურ ფაზაში წინაგულების დამატებითი მონაწილეობა პარკუჭების სისხლით ავსებაში ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბრონქული ასთმის ხანგრძლივი მიმდინარეობის დროს, კარდიალური ჰემოდინამიკის რეგულაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ფუნქცია წარმოადგენს.

მიღებული შედეგები დიასტოლური დისფუნქციის შესაძლო დებიუტზე მიუთითებს და განპირობებულია ბრონქული ასთმის დროს ოქსიგენაციის დეფიციტითა და მარცხენა პარკუჭის მიოკარდის აქტიური მოდუნების პროცესების დარღვევით.

შეფასდა შემდეგი ფუნქციური და ჰემოდინამიკური მაჩვენებლები: HR - გულის შეკუმშვათა სიხშირე (მ), SV - დარტყმითი მოცულობა (მლ), CO - წუთმოცულობა (მლ/ლ) და Ta - დოპლერული ნაკადის აქცელერაციის მრუდი.

საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმით დაავადებული ბავშვები ჰემოდინამიკური მაჩვენებლების ცვლილებების მიხედვით გაიყო ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში შეტევის პერიოდში დაფიქსირდა დარტყმითი მოცულობისა და წუთმოცულობის გაზრდა, გულის შეკუმშვათა სიხშირის მომატებისა და დოპლერული მაჩვენებლის დაქვეითების ფონზე, რაც მიოკარდის კუმშვადობის ნორმალურ შესაძლებლობებზე მეტყველებდა. რეაქციის ასეთი ტიპი დაფიქსირდა საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა 46,3%-ში. Hჰემოდინამიკური რეაქციის მიხედვით, ამ ჯგუფის პაციენტთა 20,3% (10 ბავშვი) აღენიშნებოდა წუთმოცულობის გაზრდა, დარტყმითი მოცულობისა და გულის შეკუმშვათა სიხშირის სარწმუნო გაზრდის და Ta-ს დაქვეითების ხარჯზე, ხოლო პაციენტთა 26% (14 ბავშვი) - წუთმოცულობის გაზრდა ძირითადად გულის შეკუმშვათა სიხშირის მომატების ხარჯზე, მაშინ როდესაც დარტყმითი მოცულობა და Ta პრაქტიკულად არ იცვლებოდა. წუთმოცულობის გაზრდით მიმდინარე ორივე რეაქცია შეფასდა, როგორც კეთილსაიმედო, რაც მეტყველებდა მიოკარდის კუმშვადობის ნორმალურ შესაძლებლობებზე

მეორე ჯგუფში დაფიქსირდა დარტყმითი მოცულობისა და წუთმოცულობის დაქვეითება, ხოლო შეტევის პერიოდში - გულის შეკუმშვათა სიხშირისა და ფილტვის არტერიაში Ta მაჩვენებლის მომატება; რაც მიუთითებდა სისხლძარღვის

სანათურში წინააღმდეგობის მომატებასა და მუდმივი ჰიპოქსიის პირობებში, მიოკარდის დაძაბულ მუშაობაზე. წუთმოცულობის დაქვეითებით მიმდინარე რეაქციის მეორე ტიპი დაფიქსირდა საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა 53,7%-ში და იგი შეფასდა როგორც არაკეთილსაიმედო, რომელიც საჭიროებს კორექციას.

დოპლერექოკარდიოგრაფიული კვლევა ჩატარდა მძიმე ბრონქული ასთმით დაავადებული 20 ბავშვს. ამ კონტინგენტში, ისევე როგორც ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმით მიმდინარეობის შემთხვევაში, დაავადების გამწვავების პერიოდში განვითარებული ჰემოდინამიკური რეაქციების მიხედვით გამოიკვეთა ორი ჯგუფი: პაციენტების 30%-ს აღენიშნა წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, ტაქიკარდიისა და Ta-ს მომატების ფონზე, ხოლო 10%-ს – წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, გულის შეკუმშვათა სიხშირის კლებისა და პრაქტიკულად უცვლელი Ta-ს ფონზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვთა დოპლერექოკარდიოგრაფიული კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ჰემოდინამიკური პასუხის 4 ვარიანტი.

I ვარიანტი - წუთმოცულობის გაზრდა, გულის შეკუმშვათა სიხშირის მატებისა და დარტყმითი მოცულობის გაზრდის ხარჯზე. ამ დროს შეინიშნებოდა Ta-ს დაქვეითება (პაციენტების 25%);

II ვარიანტი – წუთმოცულობისა და გულის შეკუმშვათა სიხშირის მომატებით, დარტყმითი მოცულობის და Ta-ს პრაქტიკულად უცვლელი დონის ფონზე (პაციენტების 35%);

III ვარიანტი - წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, ტაქიკარდიისა და Ta-ს მომატების ფონზე (პაციენტების 30%).

IV ვარიანტი – წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, გულის შეკუმშვათა სიხშირის კლებისა და პრაქტიკულად უცვლელი Ta-ს ფონზე (პაციენტების 10%).

რესპირატორულ და კარდიოვასკულარულ სისტემებს შორის არსებული მჭიდრო ფუნქციური კავშირი და ორგანოებისა და ქსოვილების ჟანგბადით მომარაგების საერთო ამოცანა გავლენას ახდენს კარდიორესპირატორული

ცვლილებების ფორმირებაზე ობსტრუქციით მიმდინარე ფილტვის პათოლოგიის დროს (41,80).

მიღებული მონაცემების მიხედვით გამოვლინდა, რომ ბრონქული ასთმის მიმდინარეობის სიმძიმე განაპირობებს მიოკარდის კომპენსატორული ჰიპერფუნქციის და ჰემოდინამიკის ჰიპერკინეტიკური ტიპის ფორმირებას. გაზრდილი წუთმოცულობა ამ შემთხვევაში აუმჯობესებს ვენტილაციას და ზრდის ჟანგბადის გამოყენების კოეფიციენტს.

ამრიგად, ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში გულის მორფო-ფუნქციური მდგომარეობისა და ფილტვისმიერი ჰემოდინამიკის დოპლერეოკარდიოგრაფიული შეფასება ცხადყოფს, დაავადების ადრეულ ეტაპზე გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის მონიტორინგის აუცილებლობას.

განსაზღვრულ იქნა პროგნოზულად მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორების შანსების თანაფარდობა (OR), 95% სანდოობის ინტერვალის გათვალისწინებით ბრონქული ასთმის საშუალო და მძიმე ფორმების მქონე პაციენტებში. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ამერიკის გულის ასოციაციის მიერ რეკომენდირებულ(2005წ) ბავშვთა და მოზარდთა ასაკში გავრცელებულ კარდიოვასკულარული რისკის ფაქტორებზე (თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება, ჰიპოდინამია, ჰიპერტენზია, ჭარბი წონა, კვების ხასიათი და მემკვიდრული დატვირთვის ხარისხი).

სარწმუნო მონაცემები მიღებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლების მხრივ: დაავადების ხანდაზმულობა 6 წელზე მეტი – (შანსების თანაფარდობა) OR= 1,8 (CI 0,6-5,5); ჭარბი წონა - OR= 1,06 (CI 0,37-2,9); თამბაქოს მოხმარება - OR=1,1 (CI 0,2-7,2); მემკვიდრული დატვირთვა გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ - OR=1,75; (CI 0,5-5,7). **კარდიალური კლინიკური ნიშნების მხრივ:** გულის ტონები მოყრუებული _ შანსების თანაფარდობა OR=3,68 (CI-11,1); აკროციანოზი _ OR=6,31 (CI - 1,1-35,3); კარდიალგია _ OR=12(CI 2,35-62,4); მსუბუქი ტაქიკარდია _ OR=1,87(CI - 0,6-5,8); ზომიერი ტაქიკარდია _ OR=2,3(CI 0,6-9,1); ეპიზოდური ჰიპერტენზია - OR=2,62, (CI 0,8-8,5); მე-2 ტონის აქცენტი ფილტვის არტერიაზე _ OR=1,8 (CI 0,3 - 3,6); სისტოლური შუილი _ OR=2,8(CI 0,93 - 8,3). **ეკგ მონაცემების მხრივ:** ვოლტაჟის

დაქვეითება – შანსების თანაფარდობა $OR=1,58$ (CI 0,5 – 4,6); S ტიპი – $OR=1,06$ (CI 0,3 – 2,9); ჰისის კონის მარჯვენა ტოტის არასრული ბლოკადა - $OR=1,37$ (CI 0,4 – 4,1);

კვლევის ბოლო ეტაპზე, ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში კარდიორესპირატორული სისტემის ფუნქციური და ინსტრუმენტული კვლევების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ჩატარდა რისკ-სტრატეგიკაცია ანუ პაციენტთა ერთგვაროვან ჯგუფებად დაყოფა, მოსალოდნელი პროგნოზისა და შესაბამისი პრევენციული და თერაპიული ღონისძიებების შემუშავების თვალსაზრისით.

რისკ-სტრატეგიკაციის დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი კლინიკური და ინსტრუმენტული პარამეტრები:

- ბავშვთა ასაკი;
- ბრონქული ასთმის ხანდაზმულობა;
- ბრონქული ასთმის სიმძიმე (მსუბუქი, საშუალო, მძიმე);
- კლინიკური ნიშნები კარდიო-ვასკულარული სისტემის მხრივ;
- კიგ მონაცემები;
- ეკგ მონაცემები;
- დოპლერექოგრაფიის მონაცემები;
- პროგნოზული რისკ-ფაქტორები;

შემუშავებული იქნა სამი პროგნოზული მოდელი, რომლებიც საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ კარდიო-ვასკულარული სისტემის მხრივ მოსალოდნელ გართულებათა ალბათობა ბავშვებში, ბრონქული ასთმის სიმძიმისა და პროგნოზულად მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით:

დაბალი რისკის ჯგუფი – ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმის მიმდინარეობა; დაავადების ხანდაზმულობა 6 წელზე მეტი; მემკვიდრული დატვირთვა გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ; გამოხატული ვეგეტატური დისფუნქცია;

ტრანზიტორული კარდიალური კლინიკური ნიშნები რემისიის პერიოდში: გულის ტონები მოყრუებული, კარდიალგია, მსუბუქი ტაქიკარდია, ეპიზოდური ჰიპერტენზია, მე-2 ტონის აქცენტი ფილტვის არტერიაზე. ეკგ ცვლილებები: ვოლტაჟის დაქვეითება.

საშუალო რისკის ჯგუფი – ბრონქული ასთმის საშუალო და მძიმე მიმდინარეობა; დაავადების ხანდაზმულობა 6 წელზე მეტი; მემკვიდრული

დატვირთვა გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ; გამოხატული ვეგეტატური დისფუნქცია;

კარდიალური კლინიკური ნიშნები რემისიის პერიოდში: გულის ტონები მოყრუებული, კარდიალგია, მსუბუქი ტაქიკარდია, ეპიზოდური ჰიპერტენზია, მე-2 ტონის აქცენტი ფილტვის არტერიაზე, სინუსური არითმია, აკროციანოზი. ეკგ ცვლილებები: ვოლტაჟის დაქვეითება; დოპლერექოკარდიოგრაფიული კვლევის შედეგი – წუთმოცულობისა და გულის შეკუმშვათა სიხშირის მომატება, დარტყმითი მოცულობისა და პრაქტიკულად უცვლელი Ta-ს ფონზე.

რეკომენდაციები: პროფილაქტიკური კარდიოლოგიური გასინჯვები წელში 1-ჯერ, დინამიური დოპლერექოკარდიოგრაფიული კვლევა მიზანშეწონილია.

მაღალი რისკის ჯგუფი – ბრონქული ასთმის მძიმე მიმდინარეობა; დაავადების ხანდაზმულობა 6 წელზე მეტი; მემკვიდრული დატვირთვა გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ; გამოხატული ვეგეტატური დისფუნქცია;

კარდიალური კლინიკური ნიშნები რემისიის პერიოდში: აკროციანოზი, ზომიერი ტაქიკარდია, სისტოლური შუილი; ეკგ ცვლილებები: ჰისის კონის მარჯვენა ტოტის არასრული ბლოკადა;

პარკუჭების დიასტოლური დისფუნქციის ექოკარდიოგრაფიული ნიშნები; დოპლერექოკარდიოგრაფიული კვლევის შედეგი: – წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, გულის შეკუმშვათა სიხშირის მატებისა და Ta-ს მატების ფონზე.

რეკომენდაციები: აუცილებელია დინამიური კვლევა დოპლერექოკარდიოგრაფიის ჩათვლით ყოველ 6 თვეში. თანარსებული პათოლოგიის ადექვატური და ეფექტური მკურნალობა.

ბრონქული ასთმის რემისიის პერიოდში გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ ცვლილებების "შენარჩუნება" შეიძლება განპირობებული იყოს ანთებითი ცვლილებების პერსისტირებით და ბრონქული ხის სხვადასხვა უბანში მორფოლოგიურ ცვლილებათა ხასიათის არაერთგვაროვნებით. გამოვლენილი ჰემოდინამიკური ცვლილებები რესპირატორული ტრაქტის ანთებასთან ერთად განაპირობებს სასუნთქი აპარატის არაეფექტურ მუშაობას, ქსოვილოვან ჰიპოქსიას, სასუნთქი მუსკულატურის დაღლას, რაც თავისთავად ხელს უწყობს ფილტვის ქსოვილში დისტროფიული პროცესების განვითარებას და აღრმავებს

ბრონქოპულმონალური სისტემის რემოდელირებას (Ривкин А.И., Андрианова Е. И., Побединская И.С. и др. Изменения гемоциркуляторных и респираторных функции при бронхиальной астме у детей, //ubgthnty -2003; -С- 53-57).

ამრიგად, ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებების დროულ დიაგნოსტიკას და ფილტვისმიერი ჰიპერტენზიის ადრეულ სტადიაში გამოვლენას, ამ ცვლილებების პროგრესირების თავიდან აცილების და მიოკარდიოდისტროფიის, ფილტვისმიერი გულის და აგრეთვე სისხლმიმოქცევის დეკომპენსაციის განვითარების პროფილაქტიკის მიზნით. თანამედროვე პირობებში, ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში ამ ცვლილებათა ადრეული დიაგნოსტიკის ოპტიმალური საშუალებაა ექოკარდიოგრაფია სისხლძარღვთა დოპლეროგრაფიასთან შერწყმით და ფილტვის ჰემოდინამიკის შესწავლა.

დასკვნები

1. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებების განვითარების სიხშირე, ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში, კორელირებს დაავადების სიმძიმესა და ხანდაზმულობასთან ($p < 0,05$);
2. ბრონქული ასთმის მიმდინარეობის სიმძიმე განაპირობებს მიოკარდის კომპენსატორული ჰიპერფუნქციის და ჰემოდინამიკის ჰიპერკინეტიკური ტიპის ფორმირებას. გაზრდილი წუთმოცულობა ამ შემთხვევაში აუმჯობესებს ვენტილაციას და ზრდის ჟანგბადის გამოყენების კოეფიციენტს.
3. ბრონქული ასთმის ხანგრძლივი მიმდინარეობა იწვევს პარაკუჭების დიასტოლური დისფუნქციის განვითარებას, რასაც ადასტურებს შემდეგი ექოკარდიოგრაფიული ცვლილებები: მარცხენა წინაგულის სისტოლური ზომის მატება, ტრანსმიტრალური დინების სიჩქარის მატება წინაგულების სისტოლის ფაზაში და ატრიოვენტრიკულურ სარქველებში დინების სიჩქარეების თანაფარდობის შემცირება ადრეული დიასტოლისა და წინაგულების სისტოლის ფაზაში.
4. დოპლერექოკარდიოგრაფიული კვლევის მონაცემებით დადგინდა ბრონქული ასთმის დროს არაკეთილსაიმედო ჰემოდინამიკური პასუხის 2 ვარიანტი:

წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, ტაქიკარდიისა და Ta-ს მომატების ფონზე (პაციენტების 30%) და წუთმოცულობისა და დარტყმითი მოცულობის დაქვეითება, გულის შეკუმშვათა სიხშირის კლებისა და პრაქტიკულად უცვლელი Ta-ს ფონზე (პაციენტების 10%).

5. ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის გაზრდას თან ახლავს გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლების, ტიფნოს ინდექსისა და ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის არაწრფივი დაქვეითება.
6. ბრონქული ასთმით დაავადებული ბავშვებისათვის დამახასიათებელია ვეგეტატიური დისფუნქციის ნიშნები, ვაგოტონური რეგულაციის უპირატესობით მშვიდ მდგომარეობაში და ვეგეტატიური გავლენის სიმპატიკური ნაწილის დომინირებით დატვირთვის დროს.
7. დადგინდა ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებების სტრატეგიკაციული რისკის ფაქტორები: **ანამნეზური მონაცემები** – დაავადების ხანდაზმულობა 6 წელზე მეტი (OR-1,8); ქარბი წონა (OR-1,06); თამბაქოს მოხმარება (OR-1,1); მემკვიდრული დატვირთვა გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ (OR-1,75). **კარდიალური კლინიკური ნიშნები** – გულის ტონები მოყრუებული (OR-3,68); აკროციანოზი (OR-6,31); კარდიალგია (OR-12); მსუბუქი ტაქიკარდია (OR-1,87); ზომიერი ტაქიკარდია (OR-2,3); ეპიზოდური ჰიპერტენზია (OR-2,62); მე-2 ტონის აქცენტი ფილტვის არტერიაზე (OR-1,8); სისტოლური შუილი (OR-2,8). **ეკგ მაჩვენებლები** – ვოლტაჟის დაქვეითება (OR-1,58); S ტიპი (OR-1,06); ჰისის კონის მარჯვენა ტოტის არასრული ბლოკადა (OR-1,37); დოპლეროეფოკარდიოგრაფიული ცვლილებების სხვადასხვა ვარიანტების (1-4) კომბინაცია
8. ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში, რისკ-სტრატეგიკაციის საფუძველზე, გამოიყო გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის ჯგუფები

პრაქტიკული რეკომენდაციები

- ბრონქული ასთმის მართვის ოპტიმიზაციისა და კარდიორესპირატორული სისტემის შეფასების ობიექტივიზაციისათვის აუცილებელია გარეგანი

- სუნთქვის ფუნქციის, ცენტრალური და ფილტვის ჰემოდინამიკის კომპლექსური და დინამიური კვლევა, შეტევისა და რემისიის პერიოდებში.
- ფილტვის არტერიაში წნევის გრადიენტის მატება კარდიოლოგიური თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო პროგნოზული ფაქტორია.
 - ბრონქული ასთმის ნებისმიერი კლინიკური მიმდინარეობის დროს ადრეულ ეტაპზე აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის მონიტორინგი.
 - ბრონქული ასთმის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების სტრატეგიკაციული რისკის ფაქტორების ნაწილი მართვადაა და მათი კორექცია ამ სისტემის მხრივ ცვლილებების შემცირების რეალური პერსპექტივაა.

ლიტერატურა

